06 03 05	მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა და ახალშობილთა დახმარება	90.2	125.0	0.0	125.0	160,0	0,0	160,0
	ხარჯები	90.2	125.0	0.0	125.0	160,0	0,0	160,0
06 04	ვეტერანთა და საომარი მოქმედებების დროს დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარებები	8.0	10.0	0.0	10.0	10,0	0,0	10,0
	ხარჯები	8.0	10.0	0.0	10.0	10,0	0,0	10,0

06 05	სტიქიის დაზარალებული დახმარება	შედეგად ოჯახების	6.5	207.4	182.4	25.0	80,0	0,0	80,0
	ხარჯები		6.5	207.4	182.4	25.0	80,0	0,0	80,0



საქართველო  
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო  
GEORGIA  
COUNCIL OF MUNICIPALITY OF  
TSALENJIKHA



5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ. N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;  
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;  
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

24 დეკემბერი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N67

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამები დანართის შესაბამისად (დანართი 18 ფურცლად);
2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე;
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N12).

საკრებულოს თავმჯდომარე:  თემურ ღვინჯილია

## წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამები

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესება მუნიციპალიტეტის ერთერთი მთავარი პრიორიტეტია. მუნიციპალიტეტის გამგეობა არსებული რესურსების ფარგლებში კვლავაც განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების პროგრამული დახმარების განხორციელებას.

2015 წელთან შედარებით მცირედით, მაგრამ მაინც გაზრდილია მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები ( 2015წელს –79700 ლარი. 2016 წელს–806000 ლარი).

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი კვლავაც განაგრძობს დელეგირებული უფლებების განხორციელებას. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელებისას თანაბარი უფლებებით სარგებლობენ როგორც ძირითადი, ისე დევნილი მოსახლეობა. 2016 წლისთვის საგრძნობლად შემცირებულია ერთჯერადი ფულადი დახმარებისათვის გათვალისწინებული თანხები და შესაბამისად გაზრდილია მიზნობრივ ჯგუფებზე გათვლილი პროგრამების დაფინანსება.

მნიშვნელოვანია დემოგრაფიული მონაცემების გაუმჯობესების ხელშეწყობა. 2016 წლიდან დაფინანსდება ახალი „ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა“. გაზრდილია C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის კომპონენტით გათვალისწინებულ კვლევებში მუნიციპალიტეტის თანადაფინანსების წილი. ფართოვდება მოქალაქეთა ძვირადღირებული მედიკამენტებით უზრუნველყოფის დაფინანსება და ის შეეხება სიცოცხლისათვის საშიში იშვიათი დაავადებით შეპყრობილ პაციენტებს. შედარებით გამარტივდა მრავალშვილიან ოჯახთა ყოველთვიური დახმარების პროგრამის მართვა. ყურადღება ექცევა მუნიციპალიტეტში შშმ პ-თა დღის ცენტრის, საექიმო ამბულატორიის და ვეტერანთა საბჭოს ხელშეწყობას.

პროგრამების ადმინისტრირებას ახდენს და შესაბამის გადაწყვეტილებას ღებულობს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი „ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების მართვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღები სოციალური კომისია“ (შემდგომში „ სოციალური კომისია“), რომელიც თავის სხდომებს ატარებს თვეში ორჯერ.

ბენეფიციართა დაფინანსება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, წარმოდგენილ პირად საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.

პროგრამების დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის გამგეობა.



მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის  
პროგრამები

N	პროგრამის დასახელება.	პროგრამის ღირებულება (ათასი ლარი)
1.	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურება.	100.0
2.	<p>ჯანდაცვითი პროგრამები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებულ პაციენტთა სტაციონალური მომსახურების ნაწილობრივი თანადაფინანსების პროგრამა. 120.0</li> <li>- „საქართველო C ჰეპატიტის გარეშე“ სახელმწიფო პროგრამის დიაგნოსტიკის კომპონენტით გათვალისწინებული კვლევების თანადაფინანსების მუნიციპალური პროგრამა. 30.0</li> <li>- ფსიქიურ ავადმყოფთა ფსიქოტროპიული მედიკამენტებით უზრუნველყოფის დაფინანსების პროგრამა. 30.0</li> <li>- სიცოცხლისათვის საშიში სისხლისა და ნერვული დაავადებით შეპყრობილ პაციენტთა მუდმივად საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფის დაფინანსების პროგრამა. 10.0</li> <li>- თირკმლის დიალეზზე მყოფი პაციენტების საჭირო ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა. 10.0</li> </ul>	200.0
3.	<p>მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სოციალურად დაუცველ ოჯახთა ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა. 74.0</li> <li>- ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა. 170</li> <li>- მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა ყოველთვიური ფულადი დახმარების პროგრამა. 19.0</li> <li>- გარკვეული სოციალური ჯგუფების საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი ან მატერიალური დახმარების პროგრამა. 10.0</li> <li>- საომარი მოქმედებებისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა 30.0</li> <li>- სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა. 7.0</li> <li>- სარიტუალო მომსახურების პროგრამა.</li> <li>- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებითი უზრუნველყოფის</li> </ul>	490.0

	პროგრამა.	150.0
4	შშმპ დღის ცენტრის, საექიმო ამბულატორიისა და ვეტერანთა საბჭოს ფინანსური დახმარების პროგრამა	16.0
-	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დღის ცენტრი „საბა 2011“-ის სუბსიდირება	6.0
-	შპს „ღიის საექიმო ამბულატორიის“ სუბსიდირება.	4.0
	ვეტერანთა საბჭოს საქმიანობის ხელშეწყობა.	6.0
	<b>პროგრამების საერთო ღირებულება</b>	<b>806.0</b>

**ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებულ პაციენტთა სტაციონარული მომსახურების ნაწილობრივი თანადაფინანსების პროგრამა**

საყოველთაო დაზღვევით გათვალისწინებული პაციენტთა სტაციონარული მომსახურების დაფინანსება ითვალისწინებს პაციენტთა მხრიდან თანამონაწილეობას, რაც ხშირ შემთხვევაში გარკვეულწილად მძიმე ტვირთად აწევს მოქალაქეთა გარკვეულ ნაწილს და უარყოფითად აისახება მათი ოჯახების ეკონომიკურ და საარსებო-ყოფით პირობებს.

**პროგრამის მიზანი:**

აღნიშნული პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს ბენეფიციართა ოჯახების ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის შენარჩუნებას და საბოლოო ჯამში წარმოადგენს თანამოქალაქეთა ჯანმრთელობაზე ზრუნვას.

**პროგრამის აღწერილობა:**

პროგრამა ითვალისწინებს საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებულ პაციენტთა სტაციონარული მომსახურების ღირებულების ნაწილობრივ თანადაფინანსებას. ხშირ შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების მომწოდებლის მიერ მოწოდებული ტარიფი აჭარბებს ტარიფის არეალის ლიმიტს, რის გამოც საყოველთაო დაზღვევით გათვალისწინებული დაფინანსება ანგარიშდება ტარიფის არეალის ზედა ზღვარზე დაფიქსირებული ღირებულებიდან. მსგავსად აღნიშნულისა, მუნიციპალური პროგრამით ბენეფიციართა თანადაფინანსება გამოითვლება საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული 70% -ის შესაბამისი 30%-დან ასევე მოსარგებლის სტატუსის (მიზნობრივი ჯგუფების) გათვალისწინებით საყოველთაო დაზღვევით 100% -ანი დაფინანსების შემთხვევაში მუნიციპალური პროგრამით დაფინანსება გამოითვლება პაციენტის მიერ გადახდილი თანხის 30%-დან.

მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში ბენეფიციართა თანადაფინანსება მოხდება გაწეული სტაციონარული სამედიცინო მომსახურების შემდეგ, სამი თვიან პერიოდში მომართვის შემთხვევაში. დაფინანსდება აღნიშნული 30% -იანი მონაცემის ნახევარი (დამრგვალებული 50 ლარის სიზუსტით) არა უმეტეს 1000 ლარისა.

ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს განცხადება, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, გაწეული სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელი ფ. N 100, საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში დაფინანსებული მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტი.

განმცხადებელი იქნება უშუალოდ პაციენტი ან მისი ოჯახის წევრი. აღნიშნულ დოკუმენტაციას განიხილავს „სოციალური კომისია“ და შესაბამისად მიიღებს გადაწყვეტილებას ფულადი დახმარების ოდენობაზე.

პროგრამა დაიწყება 01.01.2016 წელს და გაგეგმვლილება 1 წელი.

პროგრამის ხარჯთააღრიცხვაა 120 000 ლარი.

**„საქართველო C ჰეპატიტის გარეშე“ სახელმწიფო პროგრამის დიაგნოსტიკის  
კომპონენტით გათვალისწინებული კვლევების თანადაფინანსების  
მუნიციპალური პროგრამა**

როგორც ცნობილია C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დიაგნოსტიკის  
კომპონენტში პაციენტთა მხრიდან თანაგადახდა შეადგენს კვლევების ღირებულების  
70%-ს . 70 000-მდე ქულით „ სოციალურად დაცული ოჯახების ერთიან  
ბაზაში“ დარეგისტრირებული პაციენტთათვის თანაგადახდა არის 30%.

**პროგრამის მიზანი:**

მიუხედავად C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დიაგნოსტიკის  
კომპონენტში სახელმწიფოს მონაწილეობისა , პროგრამით მოსარგებლეთა  
უმრავლესობისათვის მაინც ძნელია თანაგადახდაში მონაწილეობა. მუნიციპალიტეტის  
გამგეობის მიერ აღნიშნული მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში თანაგადახდაში  
მონაწილეობა ხელს შეუწყობს თანამოქალაქეთა ჯამრთელობის მდგომარეობის  
გაუმჯობესებას და გარკვეული ჩვენი წვლილის შეტანას C ჰეპატიტის ელიმინაციაში.

**პროგრამის აღწერილობა:**

პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ  
მოქალაქეებს ,რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფოს მიერ აღნიშნული კვლევების  
თანადაფინანსების დამადასტურებელ დოკუმენტს . სოციალურად დაუცველთათვის  
პროგრამა ითვალისწინებს 30% -ის სრულიად ანაზღაურებას, ხოლო 70%-ის  
გადამხდელ პაციენტთათვის 50%-ის გადახდას. აღნიშნული ანაზღაურება მოხდება  
პაციენტის მიერ მკურნალობის პროგრამაში ჩართვის დამადასტურებელი  
ხელშეკრულების წარმოდგენიდან სამი თვის ვადაში.

აღნიშნულ პაციენტთა განცხადებებს განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას  
ღებულობს „სოციალური კომისია“

პროგრამა დაიწყება 01.01.2016 წლიდან და გაგრძელდება ერთი წელი.

პროგრამის ხარჯთაღრიცხვაა 30 000 ლარი

## ფსიქიურ ავადმყოფთა ფსიქოტროპული მედიკამენტებით უზრუნველყოფის დაფინანსების პროგრამა.

ფსიქო-ნარკოლოგიურ დისპანსერში აღრიცხვაზე მყოფი პაციენტები სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფსიქოტროპული მედიკამენტებით დიდწილად უზრუნველ-ყოფილი არიან. მათ შორის არიან პაციენტები, რომლებიც დამატებით საჭიროებენ ძვირადღირებული მედიკამენტებით მკურნალობას და თავიანთი სახსრებით უხდებათ მათ შექმნა.

### პროგრამის მიზანი :

პაციენტებისთვის მკურნალობის პერიოდული შეწყვეტა, ან არსრულად მედიკამენტების მიღება იწვევს დავადების ხშირ გამწვავებას და ქმნის გარკვეულ კონფლიქტურ სიტუაციებს, როგორც პაციენტის ოჯახში, ასევე საზოგადოებაში .

აღნიშნული პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს ფსიქიური აშლილობით დავადებულ თანამოქალაქეთა ჯამრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას და მათ ირგვლივ მშვიდი გარემოს შექმნას .

### პროგრამის აღწერილობა:

პროგრამა ამ ეტაპზე გათვლილია 25 ბენეფიციარზე . ბენეფიციარების შერჩევა ხდება სარაიონთაშორისო ფსიქონარკოლოგიური დისპანსერის მონაცემების გათვალისწინებით . ბენეფიციართა სიაში გარკვეული ცვლილებების გასათვალისწინებლად, პერიოდულად სია შეჯერდება აღნიშნულ დისპანსერთან.

პროგრამა ითვალისწინებს თითოეულ ბენეფიციარზე ყოველთვიურ 100 ლარიან დახმარებას.

პროგრამის მართვა ხორციელდება „სოციალური კომისიის“ მიერ.

პროგრამა დაიწყება 01.01.2016 წელს და გაგრძელდება 1 წელი

პროგრამის ხარჯთააღრიცხვაა 30 000 ლარი.

**სიცოცხლისათვის საშიში სისხლისა და ნერვული სისტემის პროგრესირებადი დაავადებით შეპყრობილ პაციენტთა მუდმივად საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფის დაფინანსების პროგრამა.**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები რამდენიმე პაციენტი დაავადებულია ისეთი დაავადებით, როგორცაა გაფანტული სკლეროზი, სირინგომიელია, მოტორული ნეირორონთა დაავადება და ლეიკოზი. მათ შემაწუხებელი ტკივილის მოსახსნელად და სიცოცხლის შესანარჩუნებლად მუდმივად სჭირდებათ სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებებში დანიშნული ძვირადღირებული მედიკამენტები. აღნიშნულის გამო ისინი ხშირად მიმართავენ მუნიციპალიტეტის გამგეობას ფინანსური დახმარებისათვის.

**პროგრამის მიზანი:**

აღნიშნულ პაციენტებზე ყოველთვიური ფულადი დახმარების გაწევა ხელს შეუწყობს მათი მკურნალობის უწყვეტობას, ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებას და საბოლოო ჯამში წარმოადგენს თანამოქალაქეებზე ზრუნვას.

**პროგრამის აღწერილობა:**

პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს, რომლებიც წარმოადგენენ სპეციალიზირებული სამედიცინო დაწესებულებებიდან შესაბამისი დიაგნოზის დამადასტურებელ ფორმა N-100-ს, სადაც მითითებულია, რომ პაციენტს ესაჭიროება მუდმივი მედიკამენტოზური მკურნალობა ძვირადღირებული მედიკამენტებით.

„სოციალური კომისიის“ მიერ აღნიშნული დოკუმენტების განხილვის შემდეგ ბენეფიციარი ჩაერთვება პროგრამაში და დაფინანსდება ყოველთვიურად წარმოდგენილი ძვირადღირებული მედიკამენტის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტის შესაბამისად – მედიკამენტის ღირებულების ოდენობით მაქსიმუმ 100 ლარამდე.

პროგრამა დაიწყება 01.01.2016 წელს და გაგრძელდება ერთი წელი.

პროგრამის ხარჯთაღრიცხვაა 10 000 ლარი.

## თირკმლის დიალიზზე მყოფი პაციენტების საჭირო ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა

თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული ადამიანები, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება დამოკიდებულია თირკმლის დიალიზის სისტემატურ ჩატარებაზე, ყოველთვიურად საჭიროებენ ჰემოდიალიზის 13-მ დე სეანსს. აღნიშნული მომსახურება ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბენეფიციარები შესაბამისი მომსახურების მისაღებად მიდიან ზუგდიდში, იშვიათ შემთხვევაში ქუთაისში. აღნიშნული დაკავშირებულია გარკვეულ ფინანსურ დანახარჯებთან.

### პროგრამის მიზანი:

აღნიშნულ ბენეფიციარებზე ყოველთვიური ფულადი დახმარების გაწევა ხელს შეუწყობს თირკმლის უკმარისობით დაავადებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებას და საბოლოო ჯამში წარმოადგენს თანამოქალაქეების ჯანმრთელობაზე ზრუნვას.

### პროგრამის აღწერილობა:

პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს, რომლებიც წარმოადგენენ ფორმა N-100-ს თირკმლის დიალიზის აუცილებლობის დადასტურებით და დოკუმენტს რომელიც მიუთითებს, რომ ბენეფიციარი დიალიზის იტარებს ქ.ზუგდიდში ან ქ.ქუთაისში.

„სოციალური კომისია“ განიხილავს აღნიშნულ დოკუმენტაციას და ღებულობს შესაბამის გადაწყვეტილებას ფულადი დახმარების თაობაზე.

თითოეულ ბენეფიციარზე ყოველთვიურად გაიცემა თანხა 100 ლარის ოდენობით.

პროგრამა დაიწყება 01.01.2016 წელს და გაგრძელდება ერთი წელი.

პროგრამის ხარჯთააღრიცხვაა 10 000 ლარი.

## სოციალურად დაუცველ ოჯახთა ერთჯერად ფულადი

### დახმარების პროგრამა

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 001 –ზე დაბალი ქულით დაფიქსირებული ოჯახები ღებულობენ სახელმწიფო საოჯახო შემწეობას.

აღნიშნულ და შედარებით მაღალი სარეიტინგო ქულის მქონე (ან არ მქონე) ოჯახებში პერიოდულად თავს იჩენს რაიმე კონკრეტული ყოფითი პრობლემა, რაც შედარებით ამძიმებს ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას.

#### პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა ხელს შეუწყობს დროებით შექმნილი პრობლემების მოგვარებას და ოჯახის საარსებო პირობების შედარებით გაუმჯობესებას.

#### პროგრამის აღწერილობა:

აღნიშნული პროგრამისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის 30%-ს სასწრაფო- გადაუდებელი შემთხვევების არსებობისას, წლის განმავლობაში განკარგავს მუნიციპალიტეტის გამგებელი. (თანხის ოდენობას თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში მაქსიმუმ 500 ლარამდე განსაზღვრავს გამგებელი).

თანხის 70% –ის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლების მიერ ( ძირითადი და იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის კომლთა რაოდენობის შესაბამისი ლიმიტის მიხედვით) წარდგენილ ბენეფიციარზე დახმარების გაწევის მართებულობას განსაზღვრავს „სოციალური კომისია“.

( თითოეულ ბენეფიციარზე წელიწადში ერთხელ 100 ლარის ოდენობით).

500 ლარზე მეტი თანხით დახმარების აუცილებლობის შემთხვევაში „სოციალური კომისია“ მოითხოვს საკრებულოს თანხმობას.

ყველა შემთხვევაში აუცილებელია ადმინისტრაციული ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის შუამდგომლობა.

პროგრამა დაიწყება 01.01.2016 წელს და გაგრძელდება ერთი წელი.

პროგრამის ხარჯთააღრიცხვაა 74 000 ლარი.



მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ძირითადი და იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის კომლთა რაოდენობის გათვალისწინებით ერთჯერადი ფულადი დახმარების თვიური ლიმიტის დასადგენი მონაცემები:

N	ადმინისტრაციული ერთეული	ძირითადი მოსახლეობის კომლთა რაოდენობა	დევნილი მოსახლეობის კომლთა რაოდენობა	კომლთა რაოდენობა	პროცენტული თანაფარდობა
1	წალენჯიხა	2950	556	3506	25
2	ჯვარი	1500	1149	2649	19
3	ობუჯი	509	31	540	4
4	ნაკიფუ	621	20	641	5
5	მიქავა	413	8	421	3
6	ჯგალი	849	7	876	6
7	მედანი	272	0	272	2
8	საჩინო	716	34	750	5
9	ჩქვალერი	237	19	256	2
10	მუჟავა	228	70	298	2
11	ჭალე	536	366	902	7
12	ფახულანი	470	665	1135	8
13	ლია	1052	228	1280	9
14	ეწერი	302	38	340	3
	სულ:	10655	3211	13866	100%

## ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა

დემოგრაფიული პრობლემა ერთერთი სერიოზული პრობლემაა, როგორც ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის, ასევე მთელი ქვეყნისათვის. ჩვენს მიერ ბოლო წლებში დაფინანსებული მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა ყოველთვიური ფულადი დახმარების პროგრამა სრულად ვერ მოიცავს აღნიშნულ სფეროს. მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2014 წლის 1 ივნისიდან დაბადებული ბიოლოგიური დედის რიგით მესამე ან შემდეგი ცოცხლადშობილი შვილისთვის დედა მთაგორიან რეგიონში ყოველთვიურად იღებს 200 ლარს. ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის ეს თანხა შეადგენს-150 ლარს, ხოლო მეოთხე და შემდგომი არასრულწლოვანი შვილისთვის ოჯახი ერთვება მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა ყოველთვიური ფულადი დახმარების მუნიციპალურ პროგრამაში.

**პროგრამის მიზანი:**

ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობაში მუნიციპალურ დონეზე მონაწილეობა.

**პროგრამის აღწერილობა:**

პროგრამა ითვალისწინებს ბიოლოგიური დედის რიგით პირველი და მეორე ცოცხლად-შობილი შვილისთვის ერთჯერად ფულად დახმარებას 100 ლარის ოდენობით. (ტყუპების შემთხვევაში თანხის გაორმაგებით). პროგრამის სარგებლობისათვის ბავშვის მშობელი წარმოადგენს: ახალშობილის დაბადების მოწმობის ასლს და ცნობას ოჯახის შემადგენლობის შესახებ, ბავშვის დაბადებიდან 3 თვის ვადაში. გადაწყვეტილებას დახმარების თაობაზე ღებულობს „სოციალური კომისია“.

პროგრამა დაიწყება 01.01 . 2016 წელს გაგრძელდება ერთი წელი.

პროგრამის ხარჯთააღრიცხვაა 30000 ლარი.

## მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა ყოველთვიური ფულადი დახმარების პროგრამა

2015 წელს მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა ყოველთვიური ფულადი დახმარების პროგრამაში მონაწილე ოჯახებისადმი დიფერენცირებულმა მიდგომამ და ოჯახების კატეგორიებად დაყოფამ შედარებით გაართულა პროგრამის მართვა. 2016 წლიდან ყველა მრავალშვილიანი ოჯახი დახმარებას მიიღებს ერთიანი პრინციპით.

### პროგრამის მიზანი:

ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობაში მუნიციპალურ დონეზე მონაწილეობა.

### პროგრამის აღწერილობა:

პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ყავთ ოთხი ან მეტი შვილი. თითოეულ არასრულწლოვან შვილზე ყოველთვიურად გაცემა დახმარება 30 ლარის ოდენობით. ოჯახის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის ( შვილების დაბადების მოწმობისა და მშობელთა ქორწინების დამადასტურებელი მოწმობის ასლები) სისწორესა და დახმარების დანიშვნაზე გადაწყვეტილებას ღებულობს „სოციალური კომისია“.

პროგრამა დაიწყება 01.01.2016 წელს და გაგრძელდება ერთი წელი.

პროგრამის ხარჯთააღრიცხვაა 170 000 ლარი.

**გარკვეული სოციალური ჯგუფების საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი ან მატერიალური დახმარების პროგრამა.**

არიან ღირსეული და ღვაწლმოსილი ადამიანები, რომლებიც მიუხედავად სოციალურად და ეკონომიკურად არასახარბიელო მდგომარეობისა დახმარებისათვის ხშირ შემთხვევაში არ მიმართავენ მუნიციპალიტეტის გამგეობას. ასეთი ადამიანების წახალისება და მცირედი მორალურ-ეკონომიკური მხარდაჭერა საჭიროა ქმედებაა.

**პროგრამის მიზანი:**

მუნიციპალიტეტში მცხოვრები დამსახურებული პენსიონერების, 100 წელს გადაცილებული ღვაწლმოსილი ადამიანების, ომისა და შრომის ვეტერანების, დამსახურებული პედაგოგებისა და ექიმების, მარტოხელა პენსიონერების, დედ-მამით ობოლი ბავშვების მეურვეებისა და სხვა ადამიანებისათვის საზეიმო ან ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ერთჯერადი ფულადი ან მატერიალური დახმარების გაწევა ხელს შეუწყობს მათი დადებითი განწყობის შექმნას და ეკონომიკურ მხარდაჭერას.

**პროგრამის აღწერილობა:**

სოციალური ჯგუფების შერჩევა ღირსშესანიშნავი დღის გათვალისწინებით და თითოეულ ბენეფიციარზე გასაცემი თანხის ოდენობა ან მატერიალური დახმარების ჩამონათვალი განი-საზღვრება „სოციალური კომისიის“ მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს-თან და მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით.

ბენეფიციართა სიები, სოციალური ჯგუფების გათვალისწინებით, მიიღება სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული განყოფილების ან ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებისგან.

პროგრამა დაიწყება 01.01.2016 წელს და გაგრძელდება ერთი წელი. (განხორციელდება ღირსშესანიშნავ და საზეიმო დღეებთან დაკავშირებით).

პროგრამის ხარჯთააღრიცხვაა 19000 ლარი.

საომარი მოქმედებებისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არიან ოჯახები, რომელთა წევრები დაიღუპნენ საქართველოში საომარი მოქმედებებისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

**პროგრამის მიზანი:**

რუსეთის აგრესიის დროს დაღუპულთა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა ოჯახები, საქართველოს მთლიანობისათვის მებრძოლი ომის ინვა-ლიდები მუდმივად საჭიროებენ ხელისუფლებისაგან შეძლებისდაგვარად ეკონომიკურ და მორალურ მხარდაჭერას.

**პროგრამის აღწერილობა:**

საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით, ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლების შუამდგომლობით, აღნიშნულ ოჯახებზე დახმარების გაწევაზე და გასაცემი თანხის ოდენობაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან და მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით გადაწყვეტილებას ღებულობს „სოციალური კომისია“.

პროგრამა დაიწყება 01.01.2016 წელს და გაგრძელდება ერთი წელი.

პროგრამის ხარჯთააღრიცხვაა 10 000 ლარი.

## სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფულადი დახმარების პროგრამა

მთელ რიგ მიზეზთა გამო გაჩენილი ხანძრის შედეგად ადამიანები (ოჯახები) ხშირად რჩებიან საცხოვრებელი სახლის გარეშე ან მნიშვნელოვნად უარესდება საცხოვრებელი პირობები.

**პროგრამის მიზანი:**

აღნიშნული კატეგორიის ადამიანებისათვის (ოჯახებისათვის) ფულადი დახმარების გაწევა შესაძლო საცხოვრისით უზრუნველსაყოფად.

**პროგრამის აღწერილობა:**

ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის შუამდგომლობით შესაბამისი ფოტო მასალის და სახანძრო-სამაშველო სამსახურის დასკვნის წარდგენის შემთხვევაში „სოციალური კომისია“ ყოველ დაზარალებულ ოჯახზე იღებს გადაწყვეტილებას ფულადი დახმარების თაობაზე თანხით 1000 დან 3000 ლარამდე (საჭიროების შემთხვევაში სოციალურ-რი კომისიის მიერ მდგომარეობის ადგილზე შესწავლით).

სოციალური კომისია განიხილავს მხოლოდ მიმდინარე წლის შემთხვევებს

პროგრამა დაიწყება 01.01.2016 წელს და გაგრძელდება ერთი წელი.

პროგრამის ხარჯთააღრიცხვაა 30 000 ლარი.

## სარიტუალო მომსახურების პროგრამა

არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის გამგეობის გადაწყვეტილებით გარდაცვლილი სამამულო ომის მონაწილისა და მასთან გათანაბრებული პირის ოჯახზე გაიცემა სარიტუალო მომსახურების ხარჯი 250 ლარის ოდენობით, ხოლო გარდაცვლილი იძულებით გადაადგილებული პირის ოჯახზე 100 ლარი.

ოჯახის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის(გარდაცვალების მოწმობის ასლი; გარდაცვლილის დევნილობის ან ომის მონაწილის და მასთან გათანაბრებული პირის დამადასტურებელი მოწმობების ასლი; გარდაცვლილის ოჯახის წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტი) განხილვის შემდეგ დახმარების თაობაზე გადაწყვეტილებას ღებულობს „სოციალური კომისია“, რომელიც განიხილავს მხოლოდ მიმდინარე წლის შემთხვევას.

პროგრამა დაიწყება 01.01.2016 წელს და გაგრძელდება ერთი წელი.

პროგრამის ხარჯთააღრიცხვაა 7 000 ლარი.

## სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის (უმწეოთა უფასო სასადილოების) პროგრამა

ბოლო რამდენიმე წელია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული, მოსახლეობისათვის უფასო სასადილოების ბენეფიციართა შესარჩევი კრიტერიუმების გათვალისწინებით შერჩეული მოქალაქეები ყოველდღიურად ღებულობენ უფასო ერთჯერად კვებას. აღნიშნული პროგრამა საჭიროებს 2016 წელს გაგრძელებას.

### პროგრამის მიზანი:

უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ყოველდღიური მხარდაჭერა.

### პროგრამის აღწერილობა:

სამოქმედო ტერიტორიაზე (ქ.წალენჯიხა, ქ.ჯვარი), ტენდერში გამარჯვებულ მომსახურების მომწოდებელი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული სიის შესაბამისად (222 ბენეფიციარზე) განახორციელებს მათ ყოველ-დღიურ ერთჯერად კვებით უზრუნველყოფას.

მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი „ინსპექტირების ჯგუფი“ ყოველი თვის ბოლოს აწვდის ინფორმაციას მუნიციპალიტეტის გამგებელს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე

პროგრამა დაიწყება 01.01.2016 წელს და გაგრძელდება ერთი წელი.

პროგრამის ხარჯთაღრიცხვაა 150 000 ლარი.



შშმპ დღის ცენტრის, საექიმო ამბულატორიისა და ვეტერანთა საბჭოს  
სუბსიდირებისა და დაფინანსების პროგრამა

პროგრამა ითვალისწინებს აღნიშნული სუბიექტების მოთხოვნის საფუძველზე მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით (მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით), მათ ფინანსურ დახმარებას.

1. შეზღუდული შესაძლებლობის პირთა დღის ცენტრი „საბა 2011“-ის საწვავით უზრუნველყოფის ყოველთვიური დაფინანსება. (თვიური 500 ლარის ოდენობით)
2. შპს „ღიის საექიმო ამბულატორიის“ სახელფასო ფონდის სუბსიდირება (თვიური 300 ლარის ოდენობით).
3. ვეტერანთა რაიონული საბჭოს საქმიანობის დაფინანსება (თვიური 500 ლარის ოდენობით).
4. პროგრამა დაიწყება 01.01 216 წელს გაგრძელდება ერთი წელი.
5. პროგრამის ხარჯთააღრიცხვაა 16000 ლარი.



საქართველო  
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო  
GEORGIA  
COUNCIL OF MUNICIPALITY OF  
TSALENJIKHA



5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ. N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;  
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;  
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

24 დეკემბერი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N68

მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და  
პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

- 1.დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა და პრივატიზების გეგმა, წარმოდგენილი დანართი N1 და N2-ის შესაბამისად.
- 2.განკარგულება ძალაშია, გაცნობისთანავე.
- 3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N12).

საკრებულოს თავმჯდომარე:

თემურ ღვინჯილია



წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა

N	მესაკუთრე	უძრავი დასახელება	ქონების	უძრავი ქონების მისამართი	მიწის ფართობი კვმ.	შენობა-ნაგებობის ფართობი კვმ	მიწის (უძრავი ქონების ს/კ.)
1	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	ჯვარის ყოფილი კოლომეურნობის ადმინისტრაციის შენობა	ქ.ჯვარი საჯაიას ქუჩა	ქ.ჯვარი საჯაიას ქუჩა	2238,00	800,00	47.14.33.293
2	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	513,65 კვმ არა საცხოვრებელი ფართი	ქ. ჯვარი სტალინის ქუჩა	ქ. ჯვარი სტალინის ქუჩა			47.14.35.030.01/50 1
3	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	22,96 კვმ არა საცხოვრებელი ფართი	ქ. წალენჯიხა სალიას ქუჩა	ქ. წალენჯიხა სალიას ქუჩა			47.11.43.037.01/01 1

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმა

საპრივატიზებო ობიექტების დასახელება	მდებარეობა	საწყისი საპრივატიზებო საფასური ლარი	ელექტრონული/სა ჯარო აუქციონის (უპირობო ან პირობებიანი) ფორმა	ელექტრონული/საჯარო/ აუქციონის შემდგომ მუნიციპალიტეტის შემნიღი ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდის ან/და პერიოდულობის შესახებ
ჯვარის ყოფილი კოლმეურნეობის ადმინისტრაციის შენობა	ქ.ჯვარი საჯაიას ქუჩა	85000,0	უპირობო	2016 წელი
513,65 კვმ არა საცხოვრებელი ფართი	ქ. ჯვარი სტალინის ქუჩა	39555,0	უპირობო	2016 წელი
22,96 კვმ არა საცხოვრებელი ფართი	ქ. წალენჯიხა სალიას ქუჩა	8500,0	უპირობო	2016 წელი



საქართველო  
 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის  
 საკრებულო  
 GEORGIA  
 COUNCIL OF MUNICIPALITY OF  
 TSALENJIKHA



5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ. N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;  
 5200.k.Salia st. N5, Tsalenjikh, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;  
 E-mail. admin@tsalenjikh-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www.tsalenjikh-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

24 დეკემბერი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №69

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის- „სათნოების სახლი“ დაფუძნების გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თემთა მართვის კოდექსი“ 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 106<sup>1</sup> მუხლის პირველი, მე-4 და მე-6 პუნქტების, „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №14 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის 2015 წლის 18 ნოემბრის წერილის საფუძველზე,

1. მიეცეს თანხმობა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სათნოების სახლი“ დაფუძნების გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე.
2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სათნოების სახლი“ დამფუძნებლის უფლებამოსილება განახორციელოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ.
3. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის მიღებული განკარგულების გადაგზავნა.
4. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. №12).

საკრებულოს თავმჯდომარე:

თემურ ღვინჯილია



წალენჯიხის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის  
„სათნოების სახლი“  
წ ე ს დ ე ბ ა

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „სათნოების სახლი“ (შემდგომში - „ორგანიზაცია“) დაფუძნებულია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ შესაბამისად დაწარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

2. ორგანიზაცია წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და დაფუძნებულია განუსაზღვრელი ვადით.

3. ორგანიზაციის:

ა) სრული სახელწოდება და სამართლებრივი ფორმა - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სათნოების სახლი“;

ბ) იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სალიას ქ. №5;

გ) ელექტრონული ფოსტის მისამართი:-----.

4. ორგანიზაციას:

ა) შესაძლებელია ქონდეს ბეჭედი და ბლანკი, რომელიც არ წარმოადგენს სავალდებულო ატრიბუტს სახლის წარმომადგენლობის განხორციელებისას;

ბ) აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, შეუძლია გახსნას საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები, მათ შორის უცხოური ვალუტით საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში;

გ) უფლება აქვს დადოს გარიგებები, შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, შეუძლია იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში.

5. ორგანიზაციას უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. ის საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ პეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან.

**მუხლი 2. ორგანიზაციის საქმიანობის მიზნები**

ორგანიზაციის საქმიანობის მიზანია:

ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ მოქალაქეთა უფასოდ კვების უზრუნველყოფა;

ბ) სოციალურად დაუცველ პირთა ხელშეწყობა;

გ) სოციალურად დაუცველ პირთა საზოგადოებასთან ადაპტაციის მიზნით სპეციალური პროგრამების მომზადება და განხორციელება;

დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველი პირების აღრიცხვა, მათზე სოციალური დახმარებისა და კანონით გათვალისწინებული სხვა შეღავათების დაწესების შესახებ წინადადებების მომზადება.

**მუხლი 3. ორგანიზაციის საქმიანობა რომელიც საჭიროებს თანხმობას**

1. ორგანიზაციის გამგებლის თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) სარგებლობის უფლებით მიღებული ქონების იჯარის ან ქირავნობის ხელშეკრულებით გადაცემა;

დ) თავდებობა;

ე) ორგანიზაციაში არსებულ ქონებასთან დაკავშირებით, სხვა გადაწყვეტილებების მიღება, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

5. ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება ორგანიზაციის ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს მუნიციპალიტეტის გამგებლის თანხმობას.

#### მუხლი 4. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

1. ორგანიზაციის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება ენიჭება დირექტორს, რომელსაც საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გამგებელი. მის მიმართ იღებს დისციპლინარულ და წამახალისებელ ზომებს.

2. დირექტორი:

- ა) ორგანიზაციის საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად ამ წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ისჯეროვნად არ შეასრულებს აღნიშნულ მოვალეობას, პასუხს აგებს ორგანიზაციის წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პირადად, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
  - ბ) პასუხს აგებს ორგანიზაციის საქმიანობაზე;
  - გ) გამგებელთან შეთანხვებით ამტკიცებს საშტატო ნუსხას, სახელფასო ფონდსა და მუშაკთა სახელფასო განაკვეთებს;
  - დ) დადგენილი წესით ხსნის საბანკო ანგარიშს საბანკო დაწესებულებებში;
  - ე) კანონმდებლობის შესაბამისად განაგებს ფინანსურ და მატერიალურ საშუალებებს;
  - ვ) საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ შესაბამისად ნიშნავს (დებს შრომით ხელშეკრულებებს) და ათავისუფლებს ორგანიზაციის თანამშრომლებს, მათ მიმართ იღებს დისციპლინარულ და წამახალისებელ ზომებს;
  - ზ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს ბრძანებას, ამტკიცებს ორგანიზაციის შინაგანაწესს, სამუშაო გეგმებს, აკონტროლებს მათ შესრულებას; კანონის შესაბამისად ახორციელებს მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელ, მოქმედი კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას;
  - თ) გასცემს მინდობილობებს, დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;
  - ი) წელიწადში ორჯერ (აგრეთვე მოთხოვნის საფუძველზე) გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს მუნიციპალიტეტის გამგებელს;
  - კ) ახორციელებს კანონმდებლობითა და ამ წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
3. ხელმძღვანელობის უფლება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში ორგანიზაციის სახელით გადაწყვეტილებების მიღების უფლებას.
4. დირექტორი უფლებამოსილია მინდობილობის გარეშე დამოუკიდებლად იმოქმედოს ორგანიზაციის სახელით და წარმოადგინოს ორგანიზაცია მესამე პირთა ნურთიერთობაში.
5. დირექტორის ხელმძღვანელობით იდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შესაძლებელია შეიზღუდოს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებით.
6. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირებს არა აქვთ უფლება, მუნიციპალიტეტის გამგებლის თანხმობის გარეშე განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა ორგანიზაცია, ან მონაწილეობა მიიღონ მსგავსი ტიპის სხვა ორგანიზაციაში, როგორც პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორმა ან დირექტორმა.
7. დირექტორ სუფლება არა აქვს პირადი სარგებლის მიღების მიზნით გამოიყენოს ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა თავისი მოვალეობის შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო.
8. ორგანიზაციის საქმიანობის:
- ა) საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს გამგებელი;
  - ბ) კოორდინაციას გამგებელი ახორციელებს მუნიციპალიტეტის გამგებლის შესაბამისი დარგობრივი სამსახურის მეშვეობით.

9. ორგანიზაციის დირექტორის არყოფნის, მის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი გადადგომისას, აგრეთვე დირექტორის დავალების საფუძველზე დირექტორის მოვალეობას ასრულებს მოადგილე. თუ დირექტორს არ ჰყავს მოადგილე ან მოადგილის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების შეუძლებლობისას დირექტორის დავალებით მოვალეობას ასრულებს ორგანიზაციის ერთ-ერთი თანამშრომელი. თუ დირექტორიც და მოადგილაც მოკლებულია უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობას, ასეთ შემთხვევაში დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

#### მუხლი 5. საზოგადოების შემოსავლები (ფინანსური სახსრები)

1. ორგანიზაციის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

- ა) ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან გამოყოფილი (სუბსიდიის სახით მიღებული) მიზნობრივი თანხები;
- ბ) გრანტები და შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავალი;
- გ) დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგება;
- დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი.
- ვ) ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი ფინანსური სახსრები გამოიყენება მხოლოდ ორგანიზაციის წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად.

#### **მუხლი 6. ორგანიზაციის ქონება**

ორგანიზაციას უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით შეიძლება გადაეცეს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონება.

#### **მუხლი 7. ორგანიზაციის საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება**

ორგანიზაცია ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დადგენილ ვადაში წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად გამგებელს ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით.

#### **მუხლი 8. ორგანიზაციის კონტროლი**

1. ორგანიზაციის:

- ა) საქმიანობა ექვემდებარება კონტროლს, რაც გულისხმობს განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას;
- ბ) კონტროლს ახორციელებს გამგებელი მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის მეშვეობით;
- გ) დირექტორი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად გაასაჩივროს მაკონტროლებელი ორგანოს ქმედება.

2. გამგებელი უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს ორგანიზაციის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

#### **მუხლი 9. ორგანიზაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

- 1. ორგანიზაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება გამგებლის გადაწყვეტილებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 2. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადანაწილდება საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ 38-ე მუხლის შესაბამისად.

#### **მუხლი 10. წესდებაში ცვლილებების შეტანა**

წესდებაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#### **მუხლი 11. დასკვნითი დებულებები**

- 1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან.
  - 2. თუ ამ წესდების რომელიმე მუხლი ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა მუხლების ნამდვილობაზე.
  - 3. ამ წესდების დამტკიცება, გაუქმება ან მასში ცვლილების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- დამფუძნებელი:





საქართველო  
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო  
GEORGIA  
COUNCIL OF MUNICIPALITY OF  
TSALENJIKHA



5200. ქ. წალენჯიხა, ვ. სალიას ქ. N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;  
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikh, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;  
E-mail. admin@tsalenjikh-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikh-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

24 დეკემბერი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №70

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთისა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციაზე უსასყიდლო სარგებლობის უფლებით თხოვების ფორმით გადაცემის თაობაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 615-622-ე მუხლების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის 2015 წლის 25 ნოემბრის N01/2440 წერილის საფუძველზე,

1. მიეცეს თანხმობა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელს, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით თხოვების ფორმით ავტოსატრანსპორტო საშუალება TOYOTA პრადო (სახელმწიფო ნომრით FCF-818, საიდენტიფიკაციო ნომერი: JTEBU3FJ4050211835, საბალანსო ღირებულებით 90398,4 (ოთხმოცდაათათასსამასოთხმოცდათვრამეტი) ლარი, გადასცეს აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთისა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციას სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად.

2. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს აღნიშნული განკარგულების გადაგზავნა მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის.

3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. №12).

საკრებულოს თავმჯდომარე:



თემურ ღვინჯილია



საქართველო  
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო  
GEORGIA  
COUNCIL OF MUNICIPALITY OF  
TSALENJIKHA



5200. ქ. წალენჯიხა, ვ. სალიას ქ. N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;  
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;  
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www.tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

24 დეკემბერი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №71

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გაცემაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის „დ.დ“ პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გასცეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე, ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობაში არსებული 15 კვმ არასაცხოვრებელი ფართი მიწის უძრავი ქონება (ს/კ 47.13.34.006).
2. განისაზღვროს იჯარის ვადა ერთი წლით და წლიური საიჯარო ქირა 300 ლარით.
3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. №12).

საკრებულოს თავმჯდომარე

თემურ ღვინჯილია

